KA021722903521920

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N4/21492 10 / აპრილი / 2020 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია „სახელმწიფო ქონების შპს „ალიანს მედი +“-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 30.07.2012 წლის N30/07/03 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (უფლებამონაცვლე - სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (შემდგომში - სამინისტრო) და შპს „ალიანს მედი+“-ს (ს/ნ N404875284; უფლებამონაცვლე შპს „ალიანს მედ სერვისი“ ს/ნ N405060437) შორის 31.07.2012 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით საკუთრებაში გადაეცა N68.10.45.124 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება. „სახელმწიფო ქონების შპს „ალიანს მედი +“-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 30.07.2012 წლის N30/07/03 განკარგულებისგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „ახალი კლინიკის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 26.12.2019 წლის N2658 განკარგულების საფუძველზე ხსენებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის შემდგომაც მყიდველის ვალდებულებებად განისაზღვრა:

- 31.07.2011 წლის ხელშეკრულებით გადაცემულ ქონებაზე (N68.10.45.124) ან/და N68.10.45.028 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის N165 დადგენილების დანართი N5-ით დადგენილი, სამედიცინო ცენტრის შექმნა ქარელის მუნიციპალიტეტში, ამავე დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში (ხელშეკრულების 3.1.2 მუხლი).
- ხელშეკრულების 3.1.2. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებიდან 7 (შვიდი) წლის განმავლობაში ქარელის მუნიციპალიტეტში შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში N1 დანართით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა (ხელშეკრულების 3.1.2 მუხლი).

ამას გარდა, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების შპს „ალიანს მედისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 26.12.2016 წლის N2659 განკარგულების საფუძველზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ალიანს მედს“ (ს/ნ N405108477) შორის 2016 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით კომპანიას ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით გადაეცა N68.10.45.028 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება და ასევე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული მოძრავი ქონება. ხელშეკრულების თანახმად კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- „სახელმწიფო ქონების შპს „ალიანს მედი +“ -ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 30 ივლისის N30/07/03 განკარგულებით დადგენილი პირობების („სახელმწიფო ქონების შპს „ალიანს მედი +“-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 30 ივლისის N30/07/03 განკარგულებისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „ახალი კლინიკის“ საქმიანობის

ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის N2658 განკარგულებით დადგენილი განსხვავებული პირობების გათვალისწინებით) შესრულება (ხელშეკრულების 3.1.1 მუხლი).

- „უძრავ ქონებაზე“, „ხელშეკრულების“ დანართი N2-ით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისების მიწოდება „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში და ამავე სერვისების მიწოდების უწყვეტად შენარჩუნება „ხელშეკრულების“ 3.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე (ხელშეკრულების 3.1.2 მუხლი).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე გიგზავნით შპს „ალიანს მედის“ მიერ 30.12.2016 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში 28.03.2020 წლის წერილით წარმოდგენილ შპს „ბი დი ოს“ 10.03.2020 წლის აუდიტორულ დასკვნებს, ასევე საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნული დასკვნების, ასევე თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით გვაცნობოთ 30.12.2016 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მდგომარეობის თაობაზე, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ 30.12.2016 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.1 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულია 31.07.2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, გთხოვთ, ასევე გვაცნობოთ 31.07.2011 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

დანართი: 73 (სამოცდაცამეტი) ფურცელი,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სახელშეკრულებო ვალდებულებათა
მონიტორინგის სამსახურის უფროსი

დიმიტრი შანიძე